ცნობის ფურცელი

№ 2395 შაბათი, 31 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2395

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ —50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

წარმოდგენის წინ შესრულებული იქნება საერო ჰიმნი

შაბათს, 31 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

უიზნზაცარია

ოპერა 4 მოქ. მუს. გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, კალინინა, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი. 2 თებ. ორი წარმ. დილით „ფაუსტი“, საღამოთი ენკვისტის ბენ. „პიკოვაია დამა“. 3 თებ. „მშვენიერი ელენე“ (2 აქტი), ბოშების სიმღერები და ნეაპოლიტანური სიმღერები. წარმოდგენის შემდეგ მასკარადი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ძკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საპეიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. შიშინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული რუსიშვილისა ქალებით მადლობას უძღვნის ყველა იმპირთ, ვინც დეპეშებით, წერილებით და თანადასწრებით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ჩვენის მწუხარების დროს.

(1—49—1)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—8)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საზებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების მნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—6.—40)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

რუსეთ-იაპონიის

ომი

დეპეშები

29 იანვარი

რიგა. შორეულ-აღმოსავლეთის ამბებმა ხალხში პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვიეს. რუსულ, გერმანულსა და ლატიშურ თეატრებში საზოგადოების თხოვნით ჰიმნი დაუკრეს. დღეს სობოროში რუსეთის გამარჯვებისთვის პარაკლისი გადაიხადეს.

ირკუტსკი. დღეს დაიბეჭდა უმაღლესი მანიფესტი. ხვალ პარაკლისს გადაიხდიან. გუშინ პრიამურის ოლქის ჯარის მობილიზაცია გამოცხადდა. სურსათის ფასი ძალიან მატულობს.

იაროსლავი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა: მათს უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუცხადოს; ფანაგორიის გრენადერთა პოლკის როტა, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთში მიდის, დიდის ამბით გააცილეს და წმიდა [illegible] და კონსტანტინეს ხატი და სხვა საჩუქრები მიართვეს.

პორტ-საიდი („რეიტ. სააგ.“). აქ მოსულ რუსეთის ნაღმიან გემებმა და ორ გემმა “სმოლენსკი“-მ და „როსსია“-მ იმდენი ქვა-ნახშირი წაიღეს, რაც მახლობელ ნავთსადგურამდე ეყოფათ. ამიერიდან მეომარ სახელმწიფოთა გემების უფროსებმა ფიც-ქვეშ უნდა განაცხადონ, რამდენი ქვა-ნახშირია საჭირო მახლობელ ნავთ-სადგურამდე მისასვლელად და შემდეგ ამისთვის საჭირო ქვა-ნახშირს მისცემენ.

ტოკიო. („ვოლფის სააგ.“) იმპერატორის ბრძანებით, აკრძალულია რუსეთის იმ სავაჭრო გემების დაჭერა, რომელნიც იაპონიის ნავთსადგურებიდან 3 თებერვლამდე გავლენ. ასევე მოექცევიან იმ გემებს, რომელნიც 3 თებერვლამდე სხვა ნავთ-სადგურებიდან გამოვიდნენ და პირდაპირ იაპონიაში მიდიან. ეს გემები დაცლის შემდეგ უკანვე იაპონიის მთავრობის მიერ ნაჩვენებ გზით წავლენ. ეს კანონი მხოლოდ იმ გემებს შეეხება, რომელთაც იაპონიაში აკრძალული საქონელი და სამხედრო კონტრაბანდა არ მოაქვთ.

მადრიდი. პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ რუსეთ-იაპონიის შორის ომი დაიწყოო. ესპანია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“) აქ მყოფ კანონერის ნავზე „მანჯურ“-ზე სამხედრო ბაირაღი ააფრიალეს და ნავი შავად შეღებ მზად არის დაუყოვნებლივ ზღვაში

კოპენჰაგენი. მეფემ გამოაცხად სეთ-იაპონიის ომის დროს დანი ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

პეტერბურგი. სევასტოპოლს სა, ტიუმენსა, სარატოვსა, ნიჟნ გელსკსა, ორიოლსა, ბათუმსა ვო-ვოზნესენიდან იუწყებიან, პარაკლისები გადაიხადეს და მ გულმხურვალედ ლოცულობენ ხ დღეგრძელობისა და ჩვენის ჯარის გა ზისათვისო.

პარიჟი. პეტერბურგიდან მოსული „ჰავასის სააგენტო“-ს დეპეშა ამბობს, სიმართლეს მოკლებულია ინგლისის გაზეთის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ რუსეთს საფრანგეთისა, ბელგიისა და ჰოლანდიის ბანკირებთან მოლაპარაკება ჰქონდეს—ერთი მილიარდი მან. გვასესხეთო. პეტერბურგში აცხადებენ, ის ფული, რაც მთავრობას ეხლა აქვს, საკმარისია და ყოველგვარ სესხის აღება საჭირო არ არისო.

რომი იაპონიის 5 სამხედრო გემმა და 6 ნაღმიანმა გემმა ჯარებით სავსე გემები მოაცილეს და ჩემულპოში მოვიდნენ.

ფელეტონი

ჩვენი სუსტი მხარეები

ყოველი ხალხის ხასიათი, ზნე-ჩვეულება, საზოგადოდ სულიერი ელფერი და თავისებურობა მრავალ საუკუნეების განმავლობაში არის წარმომდგარი და შემუშავებული. ქვეყანაზე ყველაფერს თავისი რეალური მიზეზები აქვს, და ხალხის ესა თუ ის საერთო თვისებებიც განსაზღვრულ ისტორიულ პირობებშია შექმნილი და განმტკიცებული ამ თვისებებში ზოგი ისეთი ხასიათისაა, რომ ნათელ მხარეს წარმოადგენს, ღირსებას შეადგენს და ამიტომ მოსაწონი და სასახელოა: მაგრამ ამასთან არის ზოგიერთი რამ ისეთიც, რომელიც სისუსტეს მოასწავებს, ნაკლს შეადგენს და ამიტომ დასაგმობი და და უარსაყოფელია. ყოველ ხალხს აქვს ღირსებასთან თავისი სუსტი მხარეები, თავისი ნაკლულევანებაც, და პრესსის მოვალეობაა ამ მხარეებზე არა ხელის დაფარება, არა მათი დამალვა და მიფუჩეჩება, არამედ გამომჟღავნება, საჯაროდ გასჯა და დაგმობა. მხოლოდ ასეთის გამომჟღავნებით გაიზრდება და გაძლიერდება საერთო თვითცნობიერება, იმატებს საზოგადო იდეური სიფხიზლე და შეგნება. ჩვენც, ქართველებსაც, გვაქვს არა ერთი და ორი ნაკლულევანება, რომელიც ხელს უშლის ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებას და აფერხებს კულტურულ წარმატებას. საჭიროა ამ ნაკლულევანებათა გამოცხადება და დაუფარავად თავის მხილება. ჩვენ გვინდა დღეს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ სამს ნაკლს, რომელიც განუყრელად თან ახლავს ქართველს და თავისს დაღს ასვამს ჩვენს ყოველგვარს საზოგადოებრივ დაწყებულებას და მოქმედებას.

პირველი და მთავარი ნაკლი გახლავთ უდისციპლინობა. სიტყვა „დისციპლინა“ ქართველის ლექსიკონში ძველთაგანვე არ წერებულა და დღესაც არ სწერია. ეს ნაკლი გადმოგვცა თვისებად ისტორიამ და ჩვენც, თითქო დიდი და ძვირფასი განძი იყოსო ეს გადმონაცემი, უცვლელად და განუშორებლად ვატარებთ მას. რომელ ქართულ საზოგადო დაწყებულებასაც-კი დააკვირდებით, ყველგან მომქმედ პირთა უდისციპლინობას შენიშნავთ და ამ მიზეზით გაფუჭებულს საქმეს დაინახავთ. ყოველგვარი საერთო საქმე, რომლისთვისაც რამდენიმე ადამიანი ერთად მუშაობს, საჭიროებს ორგანიზაციას, თითოეულის როლის განსაზღვრას, მოქმედების შეთანხმებას და მომქმედთა დამოკიდებულების განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენებას, ერთის სიტყვით, საჭიროებს ასეთ თუ ისეთ წეს-რიგს და დაწყობილებას. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ქართველი თვით-მმართველობის პრინციპზე აგებულ ორგანიზაციას ვერ ეწყობა და თავის „მე“-ს ერთ წეს-რიგს ვერ უმორჩილებს. და არ იფიქროთ, რომ ვითომ ის მხოლოდ ამა თუ იმ მიმართულებისა ან ხასიათის ორგანიზაციას ვერ ეწყობოდეს; არა, მას ეხამუშება ყოველგვარი ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს მისგან თავისუფალს, ძალ-დაუტანებელს დამორჩილებას და შეგუებას. ჩვენ გამოვიწყებთ ხოლმე საქმეებს: დავადგებით დიდის ამბით ვითომ მუშაობასაც, მაგრა არ გაივლის დიდი ხანი, რომ მომუშავეებში იჩენს თავს უთანხმოება, ნაცვლად საერთო გეგმით მოქმედებისა, ერთი ალთას იწყებს სიარულს და მეორე ბალთას, საერთო აზრი და მიზანი ყველას ავიწყდება, მუშაობა ჩერდება და გამოწყებული საქმე უკვალოდ და უშედეგოდ ჰქრება. საქმის კეთების მაგივრად გაჩაღდება „ბრძოლა“,—ბრძოლა არა უცხოეთისებური, საჭირო და სასურველი, არამედ ჩვენებური, ე. ი. ქართული,—მიზნის დამავიწყებელი და საქმის დამღუპველი.

შეიძლება, ასეთი თვისება ქართველისა ზოგიერთს, ევროპის ზერელე წახედულობით, სასურველად და წინმსვლელობის ხელის შემწყობად მიაჩნდეს,— ამ ჩვენს დროში ხომ ყველაფერი საცილობლად და საკამათოდაა გამხდარი. სამწუხაროდ, ეს აზრი შემცდარი არის და ქართული „ბრძოლა“ ამ შემთხვევაში არ არის ევროპიულთან დასადარი,—იქაური ბრძოლა და წინააღმდეგობა სულ სხვაა, ვიდრე ჩვენებური, ყოველგვარ ორგანიზაციისა და დისციპლინის უარისმყოფელი. დიდრო, რომელიც ევროპიელი იყო - და გამოჩენილ ევროპიელიც, სწერს თავის „Supplément au voyage de Bougainvill-“ში: „ჩვენ ვილაპარაკებთ უაზრო კანონების წინააღმდეგ, სანამ მათ შესცვლიდნენ და გააუმჯობესებდნენ; ხოლო მანამდის ბრმად დავემორჩილებით ამ კანონებს“. ეს სიტყვები სავსებით ჰხატავს ევროპიულ ბრძოლის ხასიათს და ევროპიელის საზოგადოებრივ ბრძოლაში მიღებულ ადათს. ვსთქვათ, გერმანელს არ მოსწონს არჩეული გამგეობა ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულებაში. იგი ეცდება გამგეების ადგილიდან გადაგდებას, ეცდება მეორეხელ არ იქმნენ არჩეული იგივე პირები, ჰამართავს ამისთვის აგიტაციას პრესსაში, საზოგადოებაში, ერთის სიტყვით, ყოველ ღონისძიებას იხმარს თავის მიზნის მისაღწევად. მაგრამ, სანამ ეს არ შესრულებულა, სანამ გამგეობა თავის ადგილზეა, მას აზრად არ მოუვა ამ გამგეობის ავტორიტეტი უარ-ჰყოს და მის განკარგულებას არ დაემორჩილოს. სულ სხვაა ჩვენში. ქართველი აირჩევს გამგეობას, მაგრამ არას დროს არ სთვლის თავის თავს ვალდებულად, თავის გადაწყვეტილების ძალა აღიაროს, მისგანვე არჩეულ ორგანოს ავტორიტეტი სცნას და მოქმედების დროს დაემორჩილოს. აი, ეს განსხვავება გახლავთ ევროპიულსა და ქართულ „ბრძოლას“ შორის,—ევროპიელს შეგნებული აქვს დისციპლინის მნიშვნელობა და საერთო საქმის გულისთვის უმორჩილებს მას თავის ნებას. ქართველი-კი მოკლებულია ერთსაც და მეორესაც.

რა თქმა უნდა, როგორც ევროპიელის დისციპლინიანობას, ისე ქართველის უდისციპლინობას თავისი მიზეზები და ისტორიული საბუთები აქვს. როგორც ვთქვით, შეუთანხმებლობა და დისციპლინის უარყოფა ქართველს გადმოსცემია ანდერძით ისტორიულ დროიდან, როცა იმგვარი სოციალ-ეკონომიური წესწყობილება და ცხოვრება იყო, რომ ჩვენი წინაპარი ორგანიზაციას და საზოგადოებრივ დისციპლინას ვერ ეჩვევოდა. ამ ისტორიულ ანდერძის სიმაგრეს დღეს ქართველთა რიცხვითი სიმცირეც ხელს უწყობს. რახან ცოტანი ვართ, თითქმის ყველანი ერთმანეთს პირადად ვიცნობთ,

პორტ-არტური. („რეიტ. სააგ.“) ვლადივოსტოკიდან მოსული დეპეშა იუწყება, ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურის ყინულში არხი გაიყვანეს, რათა აქაურ ესკადრას პორტ-არტურის ესკადრასთან შეერთება შეეძლოს. აქაური ესკადრა შესდგება შემდეგ გემებისაგან: „რიურიკ“-ის, „გრომობოი“-სა „როსსია“-სა, „ბოგატირ“-ისა და ერთ სატრანსპორტო გემ „ლენა“-საგან. ეს ესკადრა პორტ-არტურში სხვა მოსავლელ გზით წავა და თან საკმაო სურსათს წაიღებს.

ლონდონი. „რეიტ. სააგენტო“-მ გაიგო, რომ იაპონიის არავითარი განცხადება არ მიუღია შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფო მდივნის ინიციატივით აღძრულ ჩინეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფისა. იაპონიას ძალიან ჰსურს, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფილ იყოს. ძნელია იგივე ნეიტრალიტეტი მანჯურიაშიაც იქნეს დაცული.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). აქ, ქუჩებში, ხალხი არ გროვდება; ხალხს აღელვება არ ეტყობა; მანიფესტაციები არ არის; მცხოვრებნი გულგრილად არიან, რაც უცხოელებს ძლიერ აკვირვებს.

კვირას იაპონელებმა ქალაქი მოზამპო დაიჭირეს; განზრახვა აქვთ გაამაგრონ იგი და საომარ ბაზისად გაიხადონ.

იაპონელთა ჯარი სეულს მივიდა.

ტიანძინი („რეიტ. სააგ.“). საფრანგეთის
რი სეულს მიდის საელჩოს დასაცველად;
ას, რომ კორეის იმპერატორი საფრან-
ელჩოში გაიქცა.

(„რეიტ. სააგ“.). სამშაბათს ჩე-
მივიდა იაპონიის ცხრა გემი, რომ-
00 ჯარისკაცი მიიყვანეს.

ი. გუბერნატორმა გამოაცხადა,
ფერია სანოვაგე გაძვირდესო;
აფრთხილებს ვაჭარ-ჩარჩებს, სას-
ეპყრობით, თუ განგებ გააძვი-
აგესაო. ქალაქის საბჭო შუამ-
ნება მიეცეს ყოველ დღე მო-
ვაგონი სანოვაგე.

ი. მოქალაქეთა საზოგადოების
ა კრებამ დაადგინა, 25 ათასი მა-
ადასდოს ომის საჭიროებისათვის, დაამზადოს საცვალი 40 ავადმყოფისათვის და შემწეობა აღმოუჩინოს ხოლმე დაჭრილ მეომართ მოქალაქეთაგან. სამარინების ოჯახმა 10 ათასი მან. შესწირა ქალაქს სამხედრო საავადმყოფოების დასაარსებლად,

ტულა. დღეს, აუარებელ ხალხის წინაშე, უმაღლესი მანიფესტი წაიკითხეს. გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. ქალაქის საბჭომ დაადგინა უქვეშევრდომილესის ადრესით გამოსთქვას თავისი გრძნობანი და 50 ათასი მანეთი გადასდოს ომის საჭიროებისათვის; გარდა ამისა, გამართა ხელისმოწერა შემოწირულებათა შესაგროვებლად და უკვე რამდენიმე ათასი მან. შეაგროვა.

დონის როსტოვი. რკინის გზების როსტოვის სახელოსნოებში შეგროვდნენ ხელოსნები და მუშები და, ნიშნად ერთგულებისა ხელმწიფე-იმპერატორისადმი, გადაიხადეს პარაკლისი. ხელოსანთა ხორომ მრავალჯერ ალასრულა საერო ჰიმნი.

რომი. ზღვათა სამინისტრომ დეპეშა მიიღო შორეულ-აღმოსავლეთიდან, იტალიის ესკადრის უფროსისაგან, რომელიც იტყობინება: ჩემულპოში მყოფი უცხოელი კონსულები საფრანგეთის გემით აქედან წავიდნენო.

ტვერი. ქალაქის საბჭომ დაადგინა 5000 მან. გადასცეს წითელ ჯვრის საზოგადოებას და შეადგინოს თანხა 20 ათას მანათისა, რომლიდან შემწეობას აღმოუჩენს მოკლულ და დაჭრილ მეომართა ოჯახებს, ტვერის გუბერნიაში მცხოვრებთ.

ტულონი. ერთმა კრეისერმა და სამმა ნაღმიანმა გემმა ბრძანება მიიღეს მზად იყვნენ შორეულს აღმოსავლეთში წასასვლელად.

სეული. აქაურმა იაპონელმა მოხელეებმა ღონე იღონეს, რათა აჯანყება არ მოხდეს იაპონიის ჯარის მოსვლის დროს.

რომი. იტალია აცხადებს, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავს.

ლონდონი. მეფემ ხელი მოაწერა განცხადებას, რომ ინგლისი ნეიტრალიტეტს დაიცავს რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

30 იანვარი

პეტერბურგი. უმთავრესი საზღვაო შტაბი აცხადებს, რომ შტაბის მიერ მიღებულ ცნობებით, პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლაში მსუბუქად დაზიანდა 6 იაპონელი გემი. მოკლულია 50 კაცი, დაჭრილია 150.

შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკს ადმირალ ალექსეევს უმაღლესად ებოძა შორეულ-აღმოსავლეთის ყველა ჯარებისა და ფლოტის მთავარსარდლის უფლებანი.

30 იანვარი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული 28 იანვარს მის იმპერატორებით უდიდებულესობის მიერ შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „თქვენ უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ, რომ „ცესარევიჩ“-ი და „პალლადა“ 27 იანვარს შიგნით რეიდში შემოიყვანეს. „რეტვიზან“-ს ჯერჯერობით შენგრეულ ადგილს უმაგრებენ. ჯავშნიან გემების შეკეთებას დიდი მუშაობა დასჭირდება. ძნელია თქმა, როდის იქნება გემები მზად. „პალადა“-სა და „ნოვიკ“-ს რიგ-რიგით შეიყვანენ დოკში. ვფიქრობ, შეკეთებას ორ კვირამდე დასჭირდებ[illegible] ესკადრის ის დანარჩენი გემები, რ[illegible]მელნიც 27 იანვრის ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას და დაშავდნენ, 28 იანვარს შემოვიდნენ შიგნით რეიდზე ნახშირის დასატვირთავად და შესაკეთებლად. შეკეთებას სამი დღე მოუნდება. მსუბუქად დაშავებულნი ბრძოლის დროს ესკადრის გემებზე პოლკოვნიკი ზიაბჩკოვსკი და „ანგარ“-ზე მყოფი მიჩმანი პეტროვი 2, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა, რჩებიან. მძიმედ დაჭრილ ჯარის-კაცთაგან ოთხი გარდაიცვალა; დანარჩენნი ვინახულე და იმედი მაქვს, რომ განიკურნებიან. უფრო მეტი მებრძოლი კრეისერს „პალადა“-ზე დაიჭრა. ესენი მოიწამლნენ გაზებით ნაღმით აფეთქების დროს. ეს ნაღმი მელინიტით იყო გაკეთებული. ყველა დაჭრილს დიდის ყურადღებით უვლიან.— გუშინ კრეისერები განგრძობდნენ ზვერვას, მაგრამ მტრის გემი არსად აღმოჩნდა. ღამეც. ნაღმიან გემებისა და ნავების დარაჯობის დროს, არაფერი მომხდარა და არც მტერს შეხვედრიან.— მთავარი შტაბი აცხადებს, ჩინეთში მყოფი ჩვენი სამხედრო აგენტი, გენერალ-მაიორი დესინო დეპეშით გვატყობინებს, რომ კაბელი ვლადივოსტოკსა და ნაგასაკს შუა გაწყვეტილიაო. გაწყვეტილია აგრეთვე ტელეგრაფი სეულ-მოზამპოსა და სეულ-გენსანს შუა.—ქალაქში გავრცელდა უცხო ქვეყნელ აგენტებისა და გაზეთების საეჭვო ცნობებზე დამყარებული ხმები, ვითომ ჩემულპოს მახლობლად ზღვაში ბრძოლა მომხდარიყოს, იაპონელებს კორეაში ჯარი გადაესხათ, მანჯურიის გზაზე სხვა-და-სხვა ამბები მომხდარიყოს და სხვა. ამით ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ დღემდე პეტერბურგში არ მიღებულა ამ ხმების გამამართლებელი რამ ამბავი.

პეტერბურგი. მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის უმაღლესი რესკრიპტი წითელის ჯვრის რუსეთის საზოგადოების სახელზე: „მიუხედავად უსაზღვრო მშვიდობის მოყვარეობისა, მიუხედავად ამისა, რომ მეფის დაუ-სულოვან თანხმობით ყოველივე საშუალება იქმნა მიღებული მშვიდობიანობის დასაცავად, რუსეთი ომში ჩაითრიეს და მტერი ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა. რუსეთი თავს იხრის ღვთის მიუწვდომელ განგების წინაშე და, როგორც ერთი კაცი, ყოველს ძალასა და საშუალებას მეფისა და სამშობლოს დასაცველად შესწირავს. ჩემის მფარველობის ქვეშ მყოფ წითელ ჯვრის საზოგადოების მოვალეობას შეადგენს დაჭრილთა ტანჯვა შემსუბუქოს; ამ მოვალეობის ასრულება მიმინდვია წითელ ჯვრის [illegible] საზოგადოების მთავარ გამგეობისა და ყველა მის დაწესებულებათათვის. დიდი საქმე ბრძოლის მსხვერპლთა დახმარებისა ყოველთვის მხურვალე თანაგრძნობას იწვევს ყველა იმათგან, ვინც სამშობლოსთვის ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს. ჩვენს საერთო და განუყრელს ლოცვა-ვედრებაში მე და ჩემი რძალი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, რომელიც თავის სიყვარულით აღსავსე გულით თანამიგრძნობს, მოვიწვევთ რუსის ერს კაცთ-მოყვარეობის სამსახურისათვის. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მთელი რუსეთი სულით და გულით მიეგებება ჩემს მოწვევას ქრისტეს სახელით და წითელ ჯვრის საზოგადოების დროშის ქვეშ თავის ძალასა და ქონებას შესწირავს მოყვასთა დასახმარებლად. მწუხარის გულით, მაგრამ თანაც ღვთის შემწეობის მტკიცე იმედით ვეგებები მომავალ ამბებს და ვევედრები ღმერთს, აკურთხოს შრომა და მსხვერპლი ყველა იმათი, ვინც ხელს გაუწვდის და დახმარებას აღმოუჩენს მეომართ“. ნამდვილზე საკუთარის მისის უდიდებულესობის ხელით წარწერილია „მარიამ“. 28 იანვარი 1904 წელი, პეტერბურგი.

სახალინი. კუნძულზე ომის დროის წესები დაწესდა.

კიევი. ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში მანიფესტაციები გაიმართა. ბრბო, ახალგაზრდობა დი მოსწავლენი ჰიმნის სიმღერით და ეროვნულის დროშებით ქუჩა-ქუჩა დადიან და „ურას“ იძახიან. უნივერსიტეტში დიდი მანიფესტაცია მოხდა: შეიკრიბნენ დარბაზში და ჰიმნი იმღერეს. სამხედრო პირთ „ურას“ ძახილით ეგებებიან.

ასტრახანი. გუბერნატორის სახლის წინ რამდენჯერმე შეიკრიბა ხალხისა და ახალგაზდობის დიდი ბრბო, რომელიც პატრიოტულ მანიფესტაციებს მართავდა, თან საერო ჰიმნს მღეროდა და „ურა“-ს იძახ[illegible]

რიაზანი. მარინის გიმნაზიის მოსწავლე ქალთ, პატრიოტულის გრძნობებით აღფრთოვანებულთ, უარი გამოაცხადეს ბალზე და ითხოვეს, ამ ბალისთვის საჭირო ფული ომ[illegible] მოხმარდესო.

ტომსკი. ბრძანება გამოიცა, ციმბირის რკინის გზაზე გაძლიერებულ იქმნას მიმოსვლა.

ტოკიო. იმპერატორის პროკლამაციით გამოცხადებულია ომი რუსეთის წინააღმდეგ.

ტიან-ძინი. რუსეთის საოკუპაციო რაზმი შანჰაი-გუანიდან გავიდა.—პეკინში იაპონელები მუქთად არიგებენ ფურცლებს, რომ-

---

ერთმანეთთან დაახლოვებული ვართ, თითოეული ჩვენგანი თავის ნაცნობთა უმრავლესობას „შენობით“ ელაპარაკება. და ეს დაახლოვება განუვითარებელ ადამიანს უძნელებს სხვისი ავტორიტეტის ცნობას და აღიარებას, თუნდაც ეს ავტორიტეტი მისგანვე ბოძებული, მისის სურვილით მინიჭებული იყოს. „მე იმას უნდა დავემორჩილო, იმას?!“ გაიძახის ხშირად ქართველი და ვერ შეუგნია, რომ იგი ამ შემთხვევაში ემორჩილება არა იმას, არამედ მიზანს და ამ მიზნისთვის მიღებულ თავის დადგენილებას.

ერთის სიტყვით, ასე თუ ისე, ფაქტი აუცილებელია და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველს დისციპლინის შეგნება და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოხერხება შესამჩნევად აკლია.

მეორე ქართული ნაკლულევანება არის ყოველგვარს მოქმედებაში სიდინჯის ნაკლებობა,—ნამეტანი აჩქარება და წინდაუხედაობა. როგორი საძნელოც უნდა იყოს რამე საკითხი, ჩვენ ხელად გავარკვევთ და გადავჭრით მას. ხშირად პირველი შთაბეჭდილებით ვხელმძღვანელობთ ჩვენს აზროვნებაში და ამიტომ ჩვენს მსჯელობას და მოქმედებას აკლია სიმკვიდრე და საბუთიანობა. პირველი შთაბეჭდილება და გატაცება ისეთ რამეს გვათქმევინებს, რაც ხშირად, მოფიქრებისა და დაკვირვების შემდეგ, ჩვენვე სისულელედ გვეჩვენება. ყოველ უმნიშვნელო მიზეზით თუ საბაბით გამოუთქმელ აღტაცებაში მოვდივართ, ოცნება სინამდვილედ გვეჩვენება და იმედი განხორციელებულ საგნად. ვთქვათ, ვინმემ, მწერლობის ასპარეზზე პირველად გამოსულმა, ერთი პატარა, სულ პატარა ესკიზი ან მოთხრობა დასწერა, რომელიც მის ნაცნობს (ჩვენ ხომ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ!) მოეწონა, ან ეგონა, რომ მოეწონა. ეს მომწონებელი თავის აღტაცებას თავისსავე გულში ველარ დაიტევს, მაშინვე კალამს ხელს მოჰკიდებს, კრიტიკოსად გადაიქცევა და მთელ საქართველოს აცნობებს: გენიოსი მწერალი გამოგვიჩნდა, ჯერ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც მალე გეტეს, შილერს, ვალტერ სკოტს, მოპასანს გადააჭარბებსო. კითხულობთ და გიკვირთ,—გენიოსი სოკო არ არის, რომ მზა-მზარეულად ამოძვრეს მიწიდან, ჰფიქრობთ გუნებაში, მაგრამ კრიტიკოსის „აღმოჩენა“ მაინც სასიამოვნოდ გრჩებათ და აღძრულ ეჭვს უნიადაგო იმედებით აძინებთ. ვთქვათ კიდევ, ვინმე მოწაფე გვარიანად სწავლობს სასწავლებელში, რომელიმე სტუდენტმა კარგად დაასრულა საუნივერსიტეტო კურსის ეგზამენი,—ხელად გაზეთში გაჰკრელდება „სტატია“, რომელშიაც ვრცლად აწერილი იქნება ამ სტუდენტის დიდი ნიჭი, ცოდნა, სამშობლოს სიყვარული, მისი სურვილი სამშობლოსთვის მუშაობისა და სხვა და სხვა. ჯერ წიწილა არ გამოჩეკილა, მაგრამ ჩვენს ოცნებას იგი გაზრდილ მამლად ეჩვენება. სცენაზე გამოდის ვინმე ახალი მოთამაშე, რომელსაც ცოტათი ნიჭი ეტყობა. რა გგონიათ? დააცლიან იმუშაოს, ცოდნა გაიდიდოს, ნიჭი ავარჯიშოს, ხელოვნება შეისწავლოს და შეიგნოს? აბა, რას ბრძანებთ. მაშინვე გაიმართება ურა, ვაშა და დაუსრულებელი ქებათა-ქება. გაზეთები, თუ არ გენიოსად, ტალანტად მაინც დასახავენ ახალ არტისტს, რომელიც ამიერიდან „დამამშვენებელი იქნება ჩვენი სცენისა“ და სხვა და სხვა.

თქვენ ხედავთ, თუ როგორ ადვილად გვიჩნდებიან გამოჩენილი მწერლები, გამოჩენილი მოღვაწეები, ასევე გამოჩენილი არტისტები და სხვა საზოგადო ასპარეზზე მომუშავენი. ახალგაზდა კაცს, რომელსაც ჯერ არაფერი დაუწერია, წინ და წინ, ავანსად გენიოს მწერლის სახელს ვაძლევთ, ყმაწვილს, ჯერ კიდევ სკოლის სკამზე მჯდომს, საზოგადო მოღვაწედ ვიხსენიებთ, გამოურკვეველ და უცნობ სცენის მოყვარეს დიად არტისტად ვაცხადებთ. ამ სახით დიდ და საპატიო სახელებს ძალზე ვახურდავებთ და ხელგაშლილად აქეთ-იქეთ ვარიგებთ.

მაგრამ გადის დრო და გაცემულში არა თუ სარგებელს, თავნსაც კი ველარ ვიღებთ. ქართველი მოპასანი კარგად და ჯანმრთელად ცხოვრობს, მაგრამ-კი არ მოპასანობს. არა თუ გენიოსურ მოთხრობებს, მდარე ესკიზებსაც აღარ თუ ველარ სწერს. უნივერსიტეტიდან გამოსული ყმაწვილი მხოლოდ ფულს და თბილს ადგილს ეტრფის და საზოგადო მოღვაწეობას ხიარველასავით გაურბის. გამოჩენილი არტისტი სცენაზე გამოსვლას თანდათან უძვირებს, ნაცვლად ახლის შესწავლისა, უკვე შენაძენსაც ივიწყებს და ავანსად მიღებულ ზნეობრივ ჯილდოს საზოგადოებას ყოვლად მდებარე თამაშობით უქვითებს.

რა უშავს მერე, ქებით მაინც საზოგადოებას რა ეხარჯებაო, იტყვის ვინმე. აი, სწორედ ეს არის ყალბი და ამასთან მავნებელი აზრი. ქება სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს, ღირსებას უნდა ხატავდეს. დაუმსახურებელი ქებაც ისევე მავნებელია ადამიანისათვის, როგორც დაწუნება და გაკიცხვა. ყოველი ადამიანი, რომელიც საზოგადო ასპარეზზე მოქმედობს, უნდა გრძნობდეს, რომ საზოგადოება ცხვრების ჯოგს არ წარმოადგენს, რომლის წინ მას ვითომ ცერემონია და თავის შეწუხება არ სჭიროდეს. და ეს უნდა აგრძნობინოს მას თვითონ საზოგადოებამ თავისი დაკვირვებით და მიუდგომელ მსჯავრის დადებით. იგი უნდა იყოს ფხიზელი კრიტიკოსი მისი მოქმედებისა და საბუთიანი ამწონ-დამწონი მისი მოღვაწეობისა. დაუმსახურებელი ქება და მოწონება ულვიძებს მომქმედს ავადმყოფურ თავმოყვარეობას და თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენას, უძინებს გონების სიფხიზლეს და უნელებს წინმსვლელობისა და განვითარებისაკენ მისწრაფებას.

მესამე ჩვენი ნაკლულევანებაა ზნეობრივ მოვალეობის შეგნების სისუსტე. იქ, სადაც ერთმანეთში პირად შეუთანხმობლობის მიზეზით ხშირად მიზანი, საზოგადო საქმე დავიწყებას ეძლევა და უყურადღებოდ მიტოვებული რჩება, არ შეიძლება ითქვას, რომ ზნეობრივი მოვალეობის შეგნება ძლიერი არისო. რასაკვირველია, დაახლოვებით ყველამ იცის, რომ რაც საზოგადოებისთვის ცუდი და მავნებელია, არის დასაგმობი და უარ საყოფელი, რაც სასარგებლო და გამოსადეგია, არის სატრფიალო და მისაღები; ყველამ იცის, რომ თავისი ჟინის საზოგადო ინტერესებზე მაღლა დაყენება არის, ზნეობის მხრით, ცუდი და დასაგმობი საქციელი, მაგრამ ცოდნა სხვაა და შეგნება კიდევ სხვა. შეგნება იმას ჰქვია, როცა ადამიანს რაიმე შემეცნება შეუთვისებია, შეუსისხლხორცებია და თავის ცხოვრების მოთხოვნილებად გაუხდია. ზნეობრივი პრინციპი თავის თავად მარტივი რამეა და მისი ცოდნა მაინცა დ

ებშიაც თავიანთ გამარჯვებას აცხადებენ.

პარიზი. „ცესარევიჩ“-ი ნაკლებ დაზიან-ა, ვიდრე წინად ეგონათ. შეკეთებას მხოლოდ რამდენიმე დღე დასჭირდება.

სეული. მოვიდა „ცარიცინ“-ი და ერთი ნაღმიანი გემი.

რომი. მაიორი კავილია ტოკიოში იქნება ა სამხედრო ოპერაციებს თვალ-ყურს ადევნებს. რუსეთის ჯარის მთავარ სადგომთან ზღვაო აფიცერი იქნება.

ირკუტსკი. გამოცხადდა ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარის მობილიზაცია, რომელიც 2 თებერვალს დაიწყება.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). ის ხმა ვითომ იაპონელები ვეი-ჰაი-ვეიში დამკვიდრდნენ და იქიდან დაეცნენ პორტ-არტურს, სამართლეს მოკლებულია.

კაირი („რეიტ. სააგ.“) ქედივმა უბრძანა ნავთ-სადგურის მოხელეებს, ორსავე მებრძოლ სახელმწიფოს გემებს ეგვიპტეს ნავთ-სადგურებიდან იმდენის ქვა-ნახშირის წაღება შეუძლიანთ, რამდენიც შემდეგ ქვა-ნახშირის სადგურამდე ეყოფათ. გემებმა არხი რაც შეიძლება ჩქარა, შეუჩერებლად, უნდა გაიარონ და სუეცსა და პორტ-საიდში 24 საათზე მეტი არ დაჰყოონ. ერთ მებრძოლ სახელმწიფოს გემებს არ შეუძლიანთ არხიდან გავიდნენ 24 საათზე ადრე მას შემდეგ, რაც მეორე მებრძოლ სახელმწიფოს გემები გავიდნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთ-იაპონიის დიპლომატურ მოლაპარაკების შეწყვეტამ მთელი განათლებული ქვეყნიერობა აალელა, თურმე. „რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „აქაური ხალხი მეტად აღელვებულია. თუმცა დღეს კვირაა, ყველა გაზეთმა მაინც დამატება გამოსცა სათაურით „რუსეთ-იაპონიის ომი“. მეგაზეთეებს მილეთის ხალხი ესევა. ქუჩებში ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ დეპეშებს და გაგიჟებით ჰკითხულობენ. ყველგან ხალხი იკრიბება და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე ლაპარაკობს“.

უცხოეთის პრესის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. ინგლისური გაზ. „ტაიმს“-ი ჯერ კიდევ იმის გამოცხადების წინა დღეებში სწერდა: „იაპონია უეჭველად უნდა აჯობოს რუსეთს. დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისი ცალიერ თანაგრძნობას არ დასჯერდება და ყოველ-ნაირ დახმარებას გაუწევს იაპონიას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო მარტოკაც თამამად შესძლებს რუსეთთან ბრძოლას და თავის გულის საწადელს უსათუოდ შეასრულებს, მაგრამ თუ ვინიცობაა როგორმე მოხდა და საქმე ცუდად წავიდა, ინგლისმა მაგრად უნდა დაუჭიროს მხარი და დამარცხებას გადაარჩინოს. თუ რუსეთს რომელიმე სხვა სახელმწიფო მიეშველება, ინგლისიც მაშინვე გვერდში უნდა ამოუდგეს იაპონიას“.

იაპონური გაზ. „ნიპონ“-ი სწერს: „რუსეთ-იაპონიის ომში შეიძლება სხვა სახელმწიფოებიც გაერივნენ და ორის სახელმწიფოს ბრძოლა საერთაშორისო ბრძოლად გადააქციონ. ჩვენი მოკავშირე ინგლისი დიდს დახმარებას გაგვიწევს, თუ რუსეთის მომხრე სახელმწიფოებს საქმეში გარევის ნებას არ მისცემს. რუსეთს-კი იაპონია მარტოკაც კარგად გაუმკლავდება“.

„პეტერბურგსკი ვედომოსტ“-ი ამტკიცებს, არც თუ გერმანული პრესა უცქერის კარგის თვალით რუსეთსაო. აი, მაგალითად, რასა სწერს ერთი გერმანული გაზეთიო: „იაპონიასთან ომი რუსეთის ძლიერებას აღმოსავლეთში დაამხობს. ეს ომი რუსეთს უსათუოდ უკან დაახევინებს და ყველგან, მეტადრე აზიაში, ძლიერ გაუტეხს სახელს. იაპონიასთან ომი გაცილებით უფრო მეტ ზარალს მოუტანს რუსეთს, ვიდრე ყირიმის ომმა მოუტანაო“. „პეტერბ. ვედომოსტ“-ი, რა-ლა თქმა უნდა, საკადრისს პასუხს აძლევს გერმანულ გაზეთს.

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: „რუსეთ-იაპონიის დიპლომატურ მოლაპარაკების შეწყვეტამ ძალზე აალელა ჩინელები“.

პარიზიდან სწერენ „სავ.-სატელ. სააგენტოს“: „რუსეთ-იაპონიის დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტამ აქ ყველანი გაოცა. პარიზის პოლიტიკოსთა წრეები ჰფიქრობენ, ალბად, იაპონიას საქმე კარგად აქვს მოწყობილი, რომ ასე თამამად და კადნიერად მოექცა მძლავრ რუსეთსაო. ამბობენ, დელკასე მთელი დილა სულ დეპეშების გზავნასა და კითხვას უნდებოდაო“.

იმავ სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ოდესიდან: „პეტერბურგიდან მიღებულმა ამბავმა აქაურ ბირჟაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვაჭრობა შორეულ-აღმოსავლეთთან სულ შესწყდა. დღეს იაპონიის კონსული ოდესიდან წავიდა“.

რუსის დიპლომატის ნათქვამი. ერთს რუსის დიპლომატს უთქვამს „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტისათვის: „ჩემის აზრით, რუსეთი მარტო იაპონიას ადვილად აჯობებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ინგლისი და ამერიკაც ჩვენ მტერს თანაუგრძნობენ და იაპონიას აზიის განმანთავისუფლებლად სთვლიან. თუ საქმეში ინგლისიც გაერია, მაშინ საშინელი საერთაშორისო ომი ასტყდება და ვინ იცის, რით გათავდება. თუ ვინიცობაა საქმეში ამერიკამაც მონაწილეობა მიიღო, მაშინ ხომ ომი მთელ ქვეყნიერობას მოედებაო“.

იაპონიის ფლოტი და ჯარი. „პეტ. გაზ.“-ში ბ-ნი ელეცი შემდეგ საინტერესო ცნობებს მოგვითხრობს იაპონიის ჯარსა და ფლოტზე. ბ-ნი ელეცი სწერს:

„ჩინეთის არეულობის დროს გენერალ ვოგაკს ვესტუმრე ტიანძინში. ერთხელ მე და ჩემმა ამხანაგმა აფიცერმა ქალაქ გარედ გავისეირნეთ. როცა მინდორში გავედით, უცებ თითქო ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა გაგვაყრუვა. ჩინელები ხომ არ მოსდგომიან ისევ ტიანძინსაო? გაკვირვებით ვიკითხეთ და იქითკენ გავსწიეთ, საიდანაც სროლის ხმა მოდიოდა. ახლო რომ მივედით, დავინახეთ, რომ იაპონელ ჯარის ბატალიონი თოფის სროლაში ვარჯიშობდა, ფუჭ პატრონებს ისროდა. იაპონელებმა კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს და უნდა სწორედ მოგახსენოთ, მშვენივრად, იდეალურად ისროდნენ: მთელი ბატალიონი ისე ერთბაშად გაისროდა ხოლმე, რომ თითქო ერთი კაცი ისვრის თოფსაო. ერთ ჯარის კაცსაც არ დაჰგვიანებია გასროლა. უნდა იცოდეთ, რომ ჯარის კაცები უბრალო ვარჯიშობის დროსაც კი ჰღელდებიან, ჰფიცხობენ და უდრო-უდროვოდ სცლიან თოფებს. ეტყობოდა, რომ იაპონელი ჯარის-კაცები მეტად დინჯად, აუჩქარებლად სცლიდნენ თოფებს. სწორედ გაგვაოცა ასეთმა უმაგალითო სროლამ.

ჩემმა ამხანაგმა მითხრა: ეს კიდევ არაფერი, საკვირველი ისაა, რომ იაპონელები ბრძოლის დროსაც სწორედ ამნაირადვე დინჯადა და აუღელვებლად სცლიან თოფებსაო.

ამ დროს გამახსენდა, რომ ჩვენი განსვენებული ადმირალი ლესოვსკი და ჩვენი ცნობილი მწერალი ვ. კრესტოვსკიც ძლიერ აქებდნენ იაპონელ მეზღვაურებსა და იმათ მარჯვე გასაშტერებელ სროლას. ჩვენს ადმირალს იაპონიის მეზღვაურ კადეტების (მომავალ ოფიცრების) სროლა ენახა. სხვათა შორის, კადეტებს არმსტრონგის 8 დიდი ზარბაზანი ესროლათ დიდის ნავისათვის $3^{1}/_{2}$ ვერსის მანძილზე. კადეტებს სულ რვაჯერ ესროლათ. ხუთჯერ ფუჭი ყუმბარები ესროლათ, სამჯერ ასაფეთქებელი ყუმბარები. ყველა ზარბაზანს ერთბაშად ისროდნენ თურმე. არც ერთს ზარბაზანს, ერთი წუთი რა არის, ერთი წუთი არ დაეგვიანებინა. დიდი ნავი სულ ლუკმა-ლუკმად ექციათ. ურიგო არ იქნება, ჩვენმა მამაცმა მეზღვაურებმაც ყურადღება მიაქციონ ამ ამბავს.

მერე თითონ იაპონიაში, სიმონოსეკში იაპონელი ცხენოსანი ჯარიცა ვნახე. ძველი ჯარის-კაცები ცალკე სწავლობდნენ, ახლები ცალკე. ყველა ესკადრონი [illegible]ცხენები თვალში არ მომივიდა, მაგრამ ჯარის-კაცები კი თამამად, თავისუფლად ისხდნენ და კარგად ხმარობდნენ ცხენებს. მაშინ გამახსენდა, რომ იაპონელები უწინაც კარგ ცხენოსნებად ითვლებოდნენ. ცხენოსან ჯარის ახლო, ქვეითა ჯარის როტა სწავლობდა თოფის სროლას. გავკვირდი, ისე მეტად მძიმე-მძიმედ სცლიდნენ თოფებს. მერე გავიგე, რომ იაპონელი ჯარის კაცები, სანამ კარგად, დინჯად არ დაუმიზნებენ, ტყუილ-უბრალოდ არ სცლიან თურმე თოფსა. ყველამ თავის ჭკუაზე და თავის ნებაზე უნდა გაისროლოს. იაპონიის ჯარში ბძანება „ჩქარ-ჩქარა ესროლეთ“ არ არსებობს. ეს მეტად გონივრული წესია, რადგან ჩქარ-ჩქარა სროლას არაფერი ხეირი არ მოაქვს: ტყვია მუქთად იკარგება. იაპონელ ჯარის-კაცს კი სასტიკად აქვს ნაბძანები, რომ ყოველი ტყვია უსათუოდ მიზანს მოჰხვდესო.

შანჰაი-გუანში იაპონიის არტილერიის ბატარეის სწავლაც ვნახე. ჯარის-კაცეში მშვენივრად იყვნენ ნასწავლნი, მეტად მარდად ხტოდნენ ზარბაზნებზე, მაგრამ ამავე დროს ნამცეცი აჩქარება და აღელვება არ ეტყობოდათ. ყოველმა ჯარის-კაცმა კარგად იცოდა ყველა თავისი მოვალეობა.

მოდლინში კიდევ იაპონელების სამხედრო სანგრები და თხრილები ვნახე. სანგრებისა და თხრილების გაკეთებას იაპონიაში საპიორებს გარდა, ყველა ქვეითა ჯარის-კაციც სწავლობს. საქმეს ისე სუფთად, მშვენივრად ასრულებენ, როგორც მარტო იაპონელებს შეუძლიანთ. იაპონელებმა მეტად სუფთა, ლაზათიანი საქმე იციან. ამ მხრივ ესენი თითონ გერმანელებსაც კი გააფასებენ. ხომ იცით, რა სუფთა, მშვენიერი ხელოვნური ნაწარმოები მზადდება იაპონიაში. ყველა ჯარის-კაცი შეგნებითა და სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს და ყველაფერს, თხრილსა თუ სანგარს, თანამედროვე სამხედრო მეცნიერების თანახმად აკეთებდა.

იაპონიის ჯარში მეტად სასტიკი დისციპლინაა დაწესებული, ჯარის-კაცებიც ხმაამოუღებლივ ასრულებენ ყოველ სამხედრო წესს. იაპონელი ჯარის-კაცები დღეში სამ იჯრასა სჭამენ: ბრინჯი, თევზი და ბოსტნეულობა ეძლევათ. კვირაში ორჯელ თუ სამჯერ ხორციც ეძლევათ. ჩაის ყოველდღე ასმევენ“.

ამერიკა და იაპონია. პრეზიდენტმა რუზველტმა კიდევაც გაგზავნა მანჯურიაში დანიშნული კონსულები. მუკდენში უმთავრეს კონსულად ფლემინგ შეშირი დაინიშნა. ფლემინგი 1900 წლამდე სულ ჩინეთში მსა-

---

მაინც დიდ შრომასა და გონების განვითარებას არ მოითხოვს. სულ სხვაა ამ პრინციპის თავის არსებაში გაღვივება, თავის საკუთრებად გახდა და თავისთან შესისხლხორცება. ამისთვის საჭიროა, გარდა ისტორიისა, ოჯახური აღზრდა, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ძალიან სუსტია და მოკლებული შესაფერს ყურადღებას.

მთელი ეს ჩვენი დღევანდელი მსჯელობა გამოიწვია თ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატი“-ს ქართულად წარმოდგენამ. იმ სავე ქართულმა ნაკლმა, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, სწორედ ამ პიესის ჩვენს სცენაზე დადგმის დროს იჩინა თავი ნათლად და ყველასათვის დასანახად. ჩვენდა სახიფათოდ ამ პიესის ორი სხვა-და-სხვა თარგმანი დაიბეჭდა ქართულ ენაზე და ქართველ არტისტთა შორის „ინტრიგებისა“ და „ბრძოლის“ პირველი საბაბიც ეს გარემოება შეიქნა. შესდგა „მებრძოლი“ პარტიები, რომელთაგანაც ზოგი ერთ თარგმანს ემხრობოდა და ზოგიც მეორეს და ცდილობდა ქართული წარმოდგენა იმისგან მოწონებულ თარგმანით მოეხდინა. ამგვარ „ბრძოლაში“ იყვნენ ჩვენი არტისტები სრულს თვე-ნახევარს და ვერას გზით ვერ მოახერხეს შეთანხმება.

მკითხველს, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება კულისებს იქით, ალბად, ეს ამბავი გაუკვირდება და გასაგებად გაუძნელდება. განა ამგვარ საკითხების გადამწყვეტი დრამატიულ საზოგადოების გამგეობა არ არისო, იკითხავს იგი. მართალია. ამგვარ საკითხებს გამგეობა უნდა სწყვეტდეს, მაგრამ რას იზამთ, თუ გამგეობა,—ზოგი იმ მიზეზით, რომ თვითონ თავისთავად ზნეობრივი ავტორიტეტი და გავლენა არა აქვს, ზოგიც არტისტების თავგასულობით,—ველარ გამგეობს და სათეატრო საქმის რიგიანად წინამძღოლობას ველარ ახერხებს. გამგეობამ ამოირჩია ორში ერთი თარგმანი, მიანდო მისი გასწორება რეჟისორს, რომელმაც ქართული ენა ორივე მთარგმნელზე ცოტა უკეთ-კი იცის, დაანაწილა როლები, მაგრამ მარტო ამით რა გაკეთდებოდა: არტისტების ერთი ჯგუფი ცერებზე შედგა და „იმ“ თარგმანიდან როლების სწავლზე ცივი უარი განაცხადა. არც ბრძანებამ და არც ხვეწნა-მუდარამ მათზე არ გასჭრა,—იმათ იცოდნენ, რომ სცენაზე რეჟისორი ან გამგეობის თავმჯდომარე ვერ გამოვიდოდა და სულეიმანისა გინდ ოთარ-ბეგის როლს ვერ ითამაშებდა. გაიბა „ინტრიგების“ ქსელი, გაიგზავნა იმერეთში წერილები, რომლებშიაც ქუთაითურებს ატყობინებდნენ, ქ-ბნი ნ. ჩხეიძე გამგეობამ ტრუპიდან დაითხოვაო; გაავრცელეს ქალაქში ხმა, ვითომ იგივე გამგეობა ქ-ნ ე. მესხს, ამ „გამოჩენილ არტისტ ქალს“, შეურაცხყოფას აყენებს და ზეინაბის როლის სათამაშოდ არ იწვევსო და სხვა-და-სხვა. ყველა ეს, რა თქმა უნდა, ჭორი და თავიდან ბოლომდის ცრუობა გახლდათ: ჩხეიძის ქალი მაშინ არავის არ დაუთხოვნია და არც ქ-ნ ე. მესხისთვის უთქვამთ უარი. პირიქით, ამ უკანასკნელს გამგეობამ გაუგზავნა მოწვევის ბარათი, მაგრამ ქ-ნმა მესხმა უარი შემოთვალა. და იცით რატომ? იმიტომ, რომ გამგეობისა და რეჟისორის არჩევანი მისი ძმის თარგმანს არ რგებოდა... ბოლოს, როცა გაიგო, რომ გამგეობა, მიუხედავად დაბრკოლებისა, პიესის დადგმას უეჭველად აპირებდა, ჩამობრძანდა ქალაქში და თამაშობაზეც თანხმობა განაცხადა. როგორც იქნა, მოხდა შეთანხმება: ქ-ნმა ე. და ბ-ნმა კ. მესხმა თავისი როლები ერთი თარგმანიდან აიღეს, სხვა არტისტებმა მეორიდან და ასე თარგმანების შეჯიბრებით გამოვიდნენ სახაზინო თეატრის სცენაზე. თუ როგორი იყო ეს წარმოდგენა, ეს დღეს ყველას მოგეხსენებათ.

ეხლა მკითხველს დავეკითხებით: როგორ ჰფიქრობთ,—არტისტები რომ დისციპლინას დამორჩილებოდნენ, ნაცვლად კინკლაობისა, როლები რომ კარგად ესწავლათ, პიესის აზრი შეეგნოთ და შეეთვისებიათ, ერთის სიტყვით, დრო უქმად და ფუჭად არ დაეკარგათ, ვჭამდით იმ სირცხვილს, გავხდებოდით სხვების სასაცილოდ, როგორადაც ეს 20 იანვარს მოგვივიდა? არა მგონია. მაშინ ეს შერცხვენა არ გვხვდებოდა წილად.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და არტისტებს რომ ქართული ფეხმარდობა და სიჩქარე არ ეხმარათ, პიესის შესწავლამდის საზოგადოების წინ არ გამოსულიყვნენ, რეპეტიციაზე ასე თუ ისე მცოდნე ხალხი მიეწვიათ, მათი აზრი და შენიშვნები გაეგოთ, თამაშობის ნაკლის გასწორებას ცდილიყვნენ,—როგორ ჰფიქრობთ, 20 იანვრის წარმოდგენა ისე ცუდი იქნებოდა, როგორც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ? არც ეს გვგონია. წინდახედულობა წარმოდგენას არგებდა და ჩვენც სირცხვილს აგვაცდენდა.

ჩვენს ზოგიერთ არტისტებში ზნეობრივი მოვალეობის შეგნება რომ მტკიცე და ძლიერი იყოს, რომ იმათ თავისი მოღვაწეობის მიზანი უყვარდეთ და თავის პირად ქინს, სურვილს გინდ თავის ვიწრო თავმოყვარეობას იმას ანაცვალებდნენ, განა დაივიწყებდნენ 20 იანვრის წარმოდგენის მიზანს და მნიშვნელობას და ქართველობას ისე სახელს გაუტეხდნენ? ვფიქრობთ, არა.

დასასრულ, თუ რა შედეგს მოიტანს გადაჭარბებული, დაუმსახურებელი ქება, ეს ქ-ნი ე. მესხის მაგალითმა დაგვანახვა. არას დროს გაზეთში ამ არტისტ ქალის შესახებ ისეთი რეცენზია არ წამიკითხავს, რომ შიგ მისი ნიჭის დიდი ქება არ ყოფილიყოს. მისი ნიჭი რეცენზენტებს ცამდის აჰყავდათ და მის თამაშობას, თუ არ ვსცდები, უცხოეთის საუკეთესო მსახიობებისას ადარებდნენ. სახაზინო თეატრში ჩემის თვალითა და ყურით დავრწმუნდი, რომ ეს ქება, როგორც საზოგადოდ ყოველი დაფასება ჩვენში, სრულიად შეუფერებელი იყო. და როგორ ჰფიქრობთ, ჩვენს რეცენზენტებს რომ ნაკლები გულმოდგინება გაეწიათ, ქებაში ცოტა, კრიჟანგობა თუ არა, ხელმოჭერილობა მაინც გამოეჩინათ, ქ-ბნი ე. მესხი უფრო არ ეცდებოდა თავისი ნიჭი განევითარებია და საზოგადოების ყურადღება მიექცია? არ იზრუნებდა, რომ სცენაზე ისე სრულიად მოუმზადებელი არ გამოსულიყო, როგორც 20 იანვარს გამოვიდა? ჩვენ აქაც ვფიქრობთ, რომ ამ პატივცემულ მანდილოსანს შეუფერებელმა ქებამ აწყინა და ხელოვნების შესწავლასა და ნიჭის განვითარების მეცადინეობაზე ხელი შეაშვებინა...

მკითხველი ხედავს, რომ ჩვენ მარტო არტისტებს არ ვაკუთრებთ ზემო ჩამოთვლილ ნაკლულევანებათ. მათი ნაკლი ჩვენი საერთო ნაკლიცაა. მოვთხოვოთ მათ გასწორება, მაგრამ ვეცადოთ ჩვენც ყველამ მეტ საზოგადოებრივ ინსტინქტის შეთვისებას და ზნეობრივ ამაღლებას...

ფ. გოგიჩაიშვილი

ხურობდა; 1902 წელს სადღაც გაიგზავნა, ამბობენ, საიდუმლო საქმეზედაო. ანდუნში ედვინ მორგანი დაინიშნა კონსულად. მორგანი ჩინეთსა და რუსეთშია ნამსახური და თავის საქმე კარგად იცის. ორივე კონსული ნიჭიერ, გამჭრიახე კაცებად ითვლებიან.

ახალი ამბავი

◆ 29 იანვარს ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, **დიდი პატრიოტული მანიფესტაცია გაიმართა**. მანიფესტაცია დაიწყო საღამოს 8 საათზე, ვერის მხრიდან. „ურას“ ძახილით წამოვიდა ამ დროს დიდძალი ხალხი სახაზინო თეატრისკენ. სამხედრო მუსიკა რუსულ ჰიმნს უკრავდა. აქვე იყვნენ მომღერალი ყაზახები მთავარ-მართებლის კონვოისა. სახაზინო თეატრის აივანზე გამოვიდნენ ფიგნერი, ორკესტრი, ხორო და რამდენჯერმე საერო ჰიმნი შეასრულეს. აქედან ხალხი საარტისტო საზოგადოების თეატრისკენ წავიდა. ამ თეატრიდანაც გამოვიდა ორკესტრი და გარედ მყოფ ორ სამხედრო მუსიკასთან ერთად შეასრულა ჰიმნი. მერე ბრბო „ურა“-ს ძახილით მთავარ-მართებლის სასახლისკენ წავიდა. სასახლის წინ გაჩერდა და „ურა“-ს იძახდა. როდესაც ფანჯრიდან გადმოდგნენ მთავარ-მართებელი და იმისი მეუღლე, აღტაცება გაორკეცდა. როდესაც მუსიკა გაჩუმდა, თავ. გოლიცინმა ხმა-მაღლა სთქვა: „ხელმწიფე იმპერატორს მრავალჟამიერ“. გაისმა „ურა“-ს ძახილი და საერო ჰიმნის ხმები. შემდეგ მთავარ-მართებელმა სთქვა: „დიდება მამაც ჯარსა და ფლოტს“-ო. ხელ-ახლა გაისმა „ურა“ და მუსიკის ხმა. მთავარ-მართებლის სასახლიდან ხალხი ისევ გოლოვინის პროსპექტით გაემართა საარტისტო და სახაზინო თეატრებისაკენ. 10—11 საათამდე შეკრებული ხალხი ასე დადიოდა გოლოვინსკზე და პატრიოტულ მანიფესტაციებს ჰმართავდა.

ამისთანა მანიფესტაციები გუშინაც იყო.

◆ 29 იანვარს **ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა**: 1. გადაიხადოს საბჭოს დარბაზში საბჭოს სხდომის დაწყებამდე პარაკლისი და შევედროს უფალს, რათა მოუვლინოს გამარჯვება რუსის მხედრობას შორეულ აღმოსავლეთში; 2. განუცხადოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი ტფილისის ქალაქის მცხოვრებთა მის ბრწყინვალების კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის შუამდგომლობით; 3. გადასდოს 15,000 მან. ომის დროს დაღუპულ მეომართა სახლობათათვის შემწეობის აღმოსაჩენად; 4. გადასდოს 1000 მან. იმ ხარჯებისათვის, რომელიც საჭიროა ტფილისიდან შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ ჯარის გასაცილებლად; 5. აიღოს ნებართვა ხელის მოწერის გამართვისა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან იმ თანხის შესადგენად, რომლიდანაც ომში დაღუპულთა სახლობებს შემწეობა აღმოეჩინებათ; და 6. წარუდგინოს ქალაქის საბჭოს ეს დადგენილება დასამტკიცებლად ორშაბათს, 2 თებერვალს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ქალაქის ხაზინადარს, გამოუკლოს ხოლმე ჯამაგირიდან ქალაქის მოურავს, გამგეობის წევრებს, ქალაქის მდივანს, გამგეობის მდივანს 20 თებერვლიდან თვეში 2% ომში დაღუპულთა სახლობებისთვის შემწეობის აღმოსაჩენად. დაავალა აგრეთვე, 1% დაუჭიროს ჯამაგირიდან თვითმმართველობის იმ მოხელეებს, რომელნიც მოისურვებენ ასეთისავე შემწეობის აღმოჩენას.

◆ გუშინ, 30 იანვარს, მამა-დავითის ეკკლესიაში რუსთა გამოჩენილ **მწერლის გრიბოედოვის** გადაცვალებიდან 75 წლის შესრულების გამო იმის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნა პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა. კარგი ლექსი წაიკითხა პ. ა. ოპოჩინინმა. განსვენებულის საფლავი მშვენიერის გვირგვინებით შეამკეს. გვირგვინები იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, სომეხთა დრამატიულ საზოგადოებისა, სახალხო წარმოდგენებისა და კითხვათა სექციისა, რუსს დრამატიულ მწერალთა საზოგადოებისა და სხვათაგან. პანაშვიდს დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის თანაშემწე ლოპატინსკი, ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარენი და წევრნი, არტისტები, ქალაქის მოურავი, ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი, ზოგიერთი ხმოსნები და განსვენებულ მწერლის პატივის მცემელნი.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა წესდება **ტფილისში განზრახულ საზოგადოებისა**, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა და დედათა უმაღლესს კურსების ღარიბ მოსწავლე-ქალებს. წესდება უკვე მოვიდა ტფილისში.

◆ **ტფილისში გადაიცვალა** „კავკაზ“-ის რედაქტორად ნამყოფი ევგენი სტალინსკი. რედაქტორად განსვენებული იყო 1872-დან 1877 წლამდე. ამ დროს „კავკაზ“-ში მონაწილეობას იღებდნენ დ. ბერძენიშვილი, პლატონ იოსელიანი, ერისთავი და სხვანი. სხვათა შორის, სტალინსკიმ გადათარგმნა და 1888 წელს რუსულად გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობა და სხვა ადგილები.

◆ ამას წინად **საჩხერის მცხოვრებთ** შუამდგომლობა აღძრეს კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობის წინაშე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნის შესახებ.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ: ყაზიბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სახაზინო თეატრში 1 დეკემბერს გამართულ ოპერიდან შემოვიდა: გაყიდულ ბილეთებიდან—1752 მან 50 კ., შესაწირულება იყო—116 მან. 10 კ., სულ შესდგა—1869 მ. დაიხარჯა: თეატრს მიეცა—812 მ. 50 კ., ტანისამოსის შესანახი—103 მ. 35 კ., მარკები და სხვა წვრილმანი—125 მ. 25 კ., სულ 1041 მან. 10 კ. სკოლას დარჩა 827 მ. 90 კ. ყაზიბეგის ქალთა სკოლის გამგეობა გულითად მადლობას უცხადებს როგორსადაც საღამოს გამგეს თავადის ასულს ნ. პ. ბარათაშვილს, ისე შემომწირველთ: კნ. მ. ი. არღუთინსკისას, კნ. ს. გ. ამირაჯიბისას, დ. ს. მელიქიშვილს, კნ. მ. გ. ორბელიანისას, კნ. ე. მ. ერისთავისას, კნ. ნ. მ. თუმანიშვილისას, კნ. თ. დ. გრუზინსკისას, კნ. ო. ა. მელიქიშვილისას, ე. ნ. თამამშოვისას, ე. ი. სარაჯიშვილისას, კნ. ა. გ. აშილახვრისას, კნ. ნ. ე. ქობულიშვილისას, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისას, ბ-ნ ფიშერს, ს. ხ. ტაგიევს, ი. ი. ჩემბერს, ნ. ი. საგინოვს, ზ. ს. კობიევს, ბ. ს. ესაძეს, თ. ზ. დ. ბარათაშვილს, თ. ვ. გ. მაჩაბელს და სხვ.; აგრეთვე ბ-ნ ფიგნერს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ოპერაში და ყველა იმათ, ვინც თავიანთის დასწრებით ხელი გაუმართეს სკოლას.

◆ 27 იანვარს მოხდა ტფილისის მეპურეების ამქრის უსტაბაშისა და წევრების არჩევა. კენჭის უყარეს შვიდ კაცს: გიორგი სხირტლაძეს, იობ ისაკაძეს, ვლადიმერ მაჩაიძეს, მიხეილ გოშაძეს, სპირიდონ ბურდულაძეს, დავით არჩვაძეს და სოფრომ ბრეგვაძეს. მამასახლისად არჩეულ იქმნა ისევ გიორგი სხირტლაძე. ამის ამხანაგებად ვლ. მაჩაიძე და დავით არჩვაძე, ხმოსნებად იობ ისაკაძე და სპირიდონ ბურდულაძე.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობამ ნება დართო, რომ ჭიათურის შტოს სადგურ საჩხერეში კერძო დეპეშებიც იქნეს ხოლმე მიღებული.

◆ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობის უფროსი კარნეევი გადაიყვანეს ტომსკის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ტეხნიკოსად.

◆ ხვალ, 1 თებერვლისთვის, არაქსიანის ახალ თეატრში დანიშნულია დილის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ზ. ანტონოვის 3 მოქ. კომ. „მზის დაბნელება საქართველოში“ და 1 მოქ. ვოდევილი „კრთ-კრთ“. დასაწყისი დილის 11 ს, ადგილების ფასი 10—60 კ.

◆ ქიურდამირი: 28 იანვარს, ღამე, რკინის გზის მე-624 ვერსზე, ბუდკას თავს დაეცნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და მოჰკლეს გზის დარაჯი იბადულ ასადულლა. მკვლელობის მიზეზი არ იციან.

◆ ყარაიაზი: 29 იანვარს, საღამოს 7$^1/_2$ საათზე, როდესაც მატარებელი № 154 სადგურიდან გავიდა, ქალაქ გორის მცხოვრებმა პავლე პოგრებნიამ მოინდომა მატარებელზე შეხტომა, მაგრამ ჩამოვარდა და ორივე ფეხი ძლიერ დაიშავა.

◆ კიურაკ-ჩაი: 25 იანვარს აქ მძიმედ დაშავდა ნავთის მილის მუშა კარკუზაშვილი. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს. კარკუზაშვილს უნდოდა, მიმავალ მატარებლის ვაგონიდან გადმომხტარიყო, მაგრამ ფეხი თვალ ქვეშ მოუყვა.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, 29 იანვარს, პოლიციელებმა დააპატიმრეს სიღნაღის მცხოვრები ალექსანდრე ალექოვი, რომელსაც რუდანოვის ეზოდან რაღაც ნივთები მოეპარა და მიჰქონდა. ქურდი გამოტყდა.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, 29 იანვარს, სამუშაოდან მონავალა ამხანაგობის „სვეტის“ მსახური ზაქარია ბასიაშვილი. როცა იგი ავჭალის ქუჩაზე ფეფელოვის ახლად დაწყებულ შენობის პირდაპირ მისულა, იქ ორი ვიღაც უცნობი კაცი მიჰვარდნია, ჩამოუცვამს თავზე ტომარა და ჯიბიდან ამოუცლია 76 მან, შემდეგ მიმალულან.

სავალდებულო დადგენილება

ქუთაისის გუბერნიაში იარაღის ტარების აკრძალვის შესახებ.

1. ქუთაისის გუბერნიაში, როგორც დასახლებულ, ისე დაუსახლებელ ადგილებში აკრძალულია ტარება ყოველ გვარ სასროლ იარაღისა, ხმლებისა, ხანჯლებისა, ბებუთებისა, ფინურ დანებისა, ჯოხებისა და ტროსტებისა შიგნით გამართულ დანებით. აკრძალულია იარაღის ტარება ყოველ გვარ ტანისამოსზე.

2. პატივსადებ შემთხვევების დროს შეიძლება სასროლ იარაღის ტარება, ხოლო ნაციონალურ ტანისამოსზე—ხმლების ტარებაც, მაგრამ საჭიროა ნება რთვის აღება ქუთაისის გუბერნატორისაგან. შუამდგომლობა ასეთ ნებართვის შესახებ ადგილობრივ მაზრის უფროსისა ან პოლიცმეისტრის ხელით გადაეცემა გუბერნატორს. რაც შეეხება თავად-აზნაურთ, მაზრის უფროსებმა და პოლიცმეისტრებმა წინდაწინვე უნდა მოილაპარაკონ თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლებთან.

3. იმათ, ვინც ნებართვას აიღებენ, მიეცემათ განსაკუთრებული მოწმობანი, გუბერნატორისა და სახაზინო პალატის მიერ ხელ-მოწერილი. ასეთი მოწმობა იარაღის მტარებელს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს და პირველ მოთხოვნილებისათანავე წარუდგინოს პოლიციას.

4. ეს წესები არ შეეხება სამხედრო და სამოქალაქო უწყების იმ მოხელეებს, რომელთაც ფორმის ტანისამოსთან ერთად ამა თუ იმ იარაღის ტარების ნება აქვთ.

5. არავის არა აქვს ნება გაჰყიდოს სასროლი იარაღი ან მასალა, თუ გუბერნატორისაგან წერილობით ნებართვას არ აიღებს. აღებული ნებართვა პირველ მოთხოვნილებისთანავე უნდა წარუდგინოს პოლიციას.

6. ისინი, ვისაც მე-5 მუხლში აღნიშნულ წესით ნება მიეცემა იარაღითა და მასალით ვაჭრობისა, ვალდებულნი არიან შემოიღონ დაწესებულის ფორმით განსაკუთრებული წიგნები. ამ წიგნებში უნდა აღნიშნონ რამდენი იარაღი და მასალა აქვთ, ამასთან აღნიშნონ, როდის, ვის და რა იარაღი მიჰყიდეს და რა მოწმობის ძალით. ეს წიგნები „სარევიზიოდ“ და გასასინჯად უნდა წარუდგინონ ხოლმე პოლიციას მოთხოვნილებისთანავე.

7. თოფები და რევოლვერები ყოველ გვარ სისტემისა და ჯურისა, აგრეთვე სასროლი მასალა შეუძლიან მიჰყიდონ მხოლოდ იმას, ვინც წარადგენს თავის სახელზე გუბერნატორისაგან აღებულ მოწმობას ამ იარაღისა და მასალის ყიდვის ნებართვის შესახებ. ამასთან იმდენი უნდა მიცეს მყიდველს, რამდენიც მოწმობაში იქმნება აღნიშნული. ეს მოწმობანი ვაჭრებმა უნდა ჩამოართვან მყიდველს და შეინახონ, როგორც საბუთი.

8. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-29, 117 და 118 მუხლების ძალით; ამასთან იარაღი და სასროლი მასალაც ჩამოერთმევა.

9. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევა 1904 წლის 1 მარტიდან.

ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი **სმაგინი**.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნო, რომ ქართული დასი გამოსწორდა და სუმბათაშვილის განთქმული დრამა კარგად წარმოადგინა.

ზეინაბის როლს ისევ ეფ. მესხის ქალი ასრულებდა. თუ აქამდე დრამის ცუდ წარმოდგენას სჩიოდნენ, თითქმის მთელ ბრალს ამ არტისტ-ქალს სდებდნენ და საფუძვლიანადაც: ზეინაბი სული და გულია მთელის დრამისა და თუ ამ როლის აღმსრულებელი სუსტობს, „ღალატი“ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს.

ხუთშაბათს მესხის ქალი სრულებით არ ჰგავდა იმ მესხის ქალს, რომელიც სახაზინო თეატრში ვნახეთ: იქ თუ გული მოგვიკლა თავის უგულო თამაშობით, ქართულ თეატრში ისეთი მომენტები ჰქონდა, რომ გაჭედილი დარბაზი შებოჭილი ჰყავდა. სხვებიც მეტის ხალისით და გაბედულობით ასრულებდნენ თავიანთ როლებს, გარდა კარგარეთლის ქალისა, რომელიც წინანდელზე ცუდათ თამაშობდა. ბ-ნ ჩარკვიანი ირაკლ როლისათვის შესაფერი გამოდგა. ვ. აბაშიძ მესხზე უკეთესი ბესო იყო, მაგრამ არც აბაშიძის როლია იგი.

ვის არ ახსოვს, რა გულსაკლავი სანახავი იყო სახაზინო თეატრის მაყურებელი საზოგადოება „ღალატი“-ს პირველ (ქართულად) წარმოდგენის საღამოს. სულ სხვა სურათს ნახავდით უკანასკნელ წარმოდგენის დროს: არტისტებთან ერთად საზოგადოებაც გაიმართა წელში და წინანდელ უიმედობის მაგიერ მხნეობას ამჩნევდით ყველას სახეზე. თავიდანვე ეგრე მომზადებულიყვნენ ეს ჩვენი აქტიორები? მაგრამ რას იზამთ, რუსული ანდაზისა არ იყოს—„გლეხი პირჯვარს არ დაიწერს, სანამ მეხი არ გავარდებაო.“

w.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 **იანვარი**.

მინსკი. ქალაქში ქუნთრუშა მოისპო, მაზრაში-კი ისევ მძვინვარებს.

სოფია. (საკუთარ კორესპონდენტისაგან) ყველას აშფოთებს ის ტენდენციური ცნობები, რომლებსაც სტამბოლში ავრცელებენ და ბოლგარიას ბრალსა სდებენ, ვითომ მანიფესტაციებს განგებ ახდენდეს და რევოლიუციონურ კომიტეტებს დახმარებას უწევდეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთ
აჯამეთის მამულში
დაიწყო გასყიდვა:

1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნა, ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს რქა-წითელის ჯიშებისა;

2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupes mont და Riparia gl-სა.

ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებისთვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор. Управляющему имѣніемъ А. М. Тат сянъ. (12—12)

აფხანა[illegible]ს სანერგე
ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გადარიდები.

აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვადასხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 190$^{4}/_{5}$ წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა მიხრან ალ. ანანოვი (10—6—8)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთის“

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის 6 თებერვლისთვის დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა ტფილისში საზოგადოების კანტორაში დილის 10 საათზე.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1903/1904 სამოქმედო წლის ხარჯთაღრიცხვა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; საურთიერთო დახმარების ფონდის დაარსება; მოგების განაწილება; მმართველობის წევრთა არჩევა. (2—47—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 30 января 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва